საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 182/ს
24/04/2023

182-21-4-202304241758

მარტვილის მუნიციპალიტეტში, მდინარე წაჩხურზე შპს „ლესულუხეჰესის“ 5,0 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის „ლესულუხე ჰესის“ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“, მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, მარტვილის მუნიციპალიტეტში, მდინარე წაჩხურზე შპს „ლესულუხეჰესის“ 5,0 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის „ლესულუხე ჰესის“ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N7;
2. შპს „ლესულუხეჰესი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N7 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ლესულუხეჰესს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ლესულუხეჰესის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და მარტვილის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო